ელიზავეტა ცხაკაია	გოგირდწყალბადზე მომუშავე საწვავი ელემენტი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	თამაზ მარსაგიშვილი, ნოდარ ლეკიშვილი,
ილონა გოგია	თანამედროვე ქართველი ახალგაზრდების კულტურული კაპიტალი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ამირანი ბერძენიშვილი,
ელენა ფილიშვილი	მზის და კოსმოსური ამინდი: მზის ანთებების კვაზი-პერიოდული პულსაციების თვისებების გამოკვლევა	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიძინა შერგელაშვილი,
სერგო ლომინეიშვილი	მაგნიტოჰიდროდინამიკური რხევები მზის ატმოსფეროს მაგნიტურ სტრუქტურებში	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	თეიმურაზ ზაქარაშვილი,
სალომე მინესაშვილი	ეროვნული იდენტობის როლი საქართველოს საგარეო პოლიტიკაში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	კორნელი კაკაჩია,
მალხაზ ბედიაშვილი	სამოქალაქო ნაგებობების სეისმოდამცავი ღონისძიებები და მათი განხორციელების საშუალებები	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	აგული სოხაძე,
ნელი მაღლაკელიძე	თავის ტვინის ორექსინერგული სისტემის, როგორც უნიპოლარული დეპრესიული მდგომარეობის ქვევითი და ძილ-ღვიძილის ციკლის დარღვევების ეთიოლოგიის შესაძლო ინტეგრალური კომპონენტის კვლევა	საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	თემური ნანეიშვილი, ნარგიზ ნაჭყებია,

ლიანა გიორგობიანი	ქაშუეთის (ქვაშეთის) არქიტექტურული ანსამბლი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	თამაზ სანიკიძე,
რუსუდან კობახიძე	ბიბლიურ მცენარეთა სახისმეტყველება	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	თინა დოლიძე, ნელი მახარაძე,
ირინა კლიმაშვილი	წყალმომარაგების სისტემებში სასმელი წყლის დანაკარგების სიდიდის დადგენისა და ეკონომიკური შეფასების მეთოდოლოგია	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ნიკოლოზ ნაცვლიშვილი,
თინათინ ბუკია	ადამიანტანშემცველი ზოგიერთი ახალი ბენზიმიდაზოლების სინთეზი და კვლევა	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	შოთა სამსონია,
ინესსა კეკელიძე	ფენოლური ნაერთებით გამდიდრებული, მაღალი ანტიოქსიდანტური აქტიობის წითელი სადესერტო ღვინოების დამზადების ინოვაციური ტექნოლოგია	ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	მურმან ჯაფარიძე, ნანა ებელაშვილი,
მიხეილ მებონია	ღვინოსა და სხვა სასმელების ნანოსტრუქტურირებულ თერმოდენატორებში	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ავთანდილ თავხელიძე,
მიხეილი ბარნოვი	ამერიკის შეერთებული შტატების დიდი დაბლობების ინდიელთა თვითმყოფადი კულტურა უკანასკნელი ფრონტირისა და რეზერვაციული პერიოდის დასაწყისში (ისტორიულ-ანთროპოლოგიური ანალიზი)	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ვასილი კაჭარავა,
ანა ჟორჟოლიანი	საზოგადოებრივი აზრის მანიპულირების ხერხები და მეთოდები ანტიკურ საბერძნეთში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ლევან გორდეზიანი, ვალერიანი რამიშვილი,

თეა ნადირაძე	უმადლესი განათლების დაფინანსების მექანიზმები და მისი როლი განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	შორენა მალაქელიძე,
მირანდა ხაჯიშვილი	მოდულირებული სიგნალები დისპერსიულ გარემოში	სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ნუგზარ ღომიძე,
მარიამ სორდია	უწყვეტფაზიან მოდულაციაზე დაფუძნებული სივრცით-დროითი კოდების შემუშავება	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სერგო შავგულიძე,
ოლღა გიორგიშვილი	გრუნტის დეფორმაციის მოდულის ლაბორატორიული წასით განსაზღვრის შესახებ	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	გუგა ჭოხონელიძე,
ნათია ებანოიძე	კონცეფტუალური ფორმები 1980-90-იანი წლების ქართულ ხელოვნებაში	აპოლონ ქუთათელაძის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	ლიანა ანთელავა,
რუსუდან ხოსიტაშვილი	სორბციული და მემბრანული მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით ხსნარებში გოგირდწყალბადის კონცენტრაციების გაზრდა	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	თამაზ მარსაგიშვილი,
მაია არავიაშვილი	მემკვიდრეობის განაწილების გენდერული ასპექტები ქართულ კულტურაში	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ემზარ ჯგერენაია,
ხატია ცირგაია	პირველქმნილი ცოდვა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ევროპულ ლიტერატურაში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ირინე დარჩია,
ნინო შარიქაძე	პოლიფენოლური ნაერთების გავლენა თავის ტვინის მიტოქონდრიების ბიოენერგეტიკაზე	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	დავით მიქელაძე,

ნინო კიკაბიძე	ელექტროენერჯის ტარიფების გრძელვადიანი პერიოდისათვის ოპტიმალური დაგეგმვის ეკონომიკურ-მატემატიკური მოდელების შემუშავება და რეალიზაცია	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	დავით ჯაფარიძე,
ნათია ჯოჯუა	ნობილექტინის გავლენა მიტოქონდრიების ენერგეტიკული მეტაბოლიზმის ჰიპოთირეოზით გამოწვეულ ცვლილებებზე	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	დავით მიქელაძე,
მაკა გუგუჩია	კოლხეთის ჭარბტენიანი ნიადაგების დამშრობი სისტემების ახალი ალტერნატიული ღონისძიებების კვლევა	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	გივი გავარდაშვილი,
ნინო ფოჩხიძე	ტოლუოლის ქრონიკული ინჰალაციის მყისიერი და შორეული ეფექტები ჰიპოკამპის და კუდიანი ბირთვის დენდრიტული ხორკლების მორფოლოგიურ მახასიათებლებსა და მეხსიერებაზე ვირთაგვებში	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მზია ჟვანია, მანანა დამნიანი,
თინათინი კუჭუხიძე	მეტასტაბილური ალუმინის ნაერთების დაბალტემპერატურული ფაზური გარდაქმნა ულტრადისპერსულ ალფა-ალუმინის ოქსიდში და მისგან სხვადასხვა ფუნქციური კერამიკების ფხვნილოვანი კომპოზიტების მიღების ტექნოლოგიების დამუშავება	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ზურაბ ფაჩულია, როინ ჭედეა,
საბა ფიფია	კვლევა სარალიარებული ტერიტორიების სტატუსი საერთაშორისო სამართლის მიხედვით	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ქეთევან ხუციშვილი,
რუსლან დავითაძე	სტევისას ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები და მათი ცვალებადობა გადამუშავების პროცესში	სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ალეკო კალანდია,



ალინა ტიტვინიძე	სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის სრულყოფა	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ლევანი იმნაიშვილი,
მინაგო მეფარიშვილი	თერმო-ჰიდროდინამიკური პროცესების გამოკვლევა ახალი ტიპის თბურამპრავიან მემბრანულ ტუმბოში	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ირაკლი შყერილაძე,
მარინე ქევიციანი	სოციალური მედია და ქართული სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ტენდენციები	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ამირანი ბერძენიშვილი,
გიორგი ბურჯანაძე	თავის ტვინში კრეატინის მეტაბოლიზმის თავისებურება ხანგრძლივი ფსიქო-ემოციური სტრესის პირობებში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ნანა კომორიძე,
გიორგი მთვარელიშვილი	ელექტრონული და მიკროპროცესორული ტექნიკის დატვირთვის ელექტროენერჯის ხარისხსა და ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებაზე გავლენის გამოკვლევა.	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	თენგიზ მუსელიანი,
მადონა მშვილდაძე	იბერიის ქალაქთა ლოკალიზაცია კლავდიოს პტოლემეოსის კოორდინატთა სისტემის მიხედვით	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	გურამ ყიფიანი,
თეა მუზაშვილი	პირობითი მსჯავრდებულების კრიმინალური ქცევის ფსიქოლოგიური მახასიათებლები	საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	თეა გოგოტიშვილი,
ირაკლი დოლონაძე	მონეტარული პოლიტიკის გავლენა კაპიტალის ბაზრების ფუნქციონირებაზე	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ემზარი ჯგერენაია,

თამარ ედიბერიძე	იდიოპათური ფოკალური და იდიოპათური გენერალიზებული ეპილეფსიისა და შესაბამისი ანტიეპილეფსიური მკურნალობის გავლენა დაავადებული ბავშვების ძილის მახასიათებლებზე	დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი	ნინო ტატიშვილი,
ლაშა ზივზივაძე	აგრობიზნესის განვითარების პოლიტიკა და სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგია	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ევეგენი ბარათაშვილი,
ირაკლი ბიჭიაშვილი	საქართველოს ენერგოუსაფრთხოების პროგნოზული ანალიზი და მისი ამალღების გზები	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	დავით ჯაფარიძე,
აკაკი ჩიქობავა	განვითარებული ფეოდალიზმის გენეზისი საქართველოში და მასთან დაკავშირებული ისტორიულ-გეოგრაფიული ასპექტები	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	თედო დუნდუა,
ნათია კირკიტაძე	„დაწესებულებაში სუბიექტის საქმიანობის მონიტორინგის სისტემის დამუშავება და კვლევა (სასწავლო დაწესებულების მაგალითზე)“	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ლევანი იმნაიშვილი,
შოთა გეთია	პოსტკომუნისტური ემიტენტების ევროპული ოფციონების პრობლემები სავალო კრიზისის ფონზე, ვარშავის ბირჟის მაგალითზე	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ემზარი ჯგერენაია,
ნათია დაღელიშვილი	ქართული ფორმების საექსპორტო საქმიანობის დივერსიფიკაცია ევროკავშირის ბაზარზე	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	დავით სიხარულიძე,
ნატალია ტურაბელიძე	პერსონიფიკაციები შუა საუკუნეების ქართულ კედლის მხატვრობაში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ზაზა სხირტლაძე,
მაკა ლორთქიფანიძე	მსხვერპლი, როგორც პიროვნება და სოციალური მხარდაჭერა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ნინო ჯავახიშვილი,

ლანა ცანავა	მთავრობის პასუხისმგებლობა, როგორც ძალაუფლების დაბალანსების მექანიზმი ხელისუფლების დანაწილების სისტემაში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	გიორგი კვერენჩილაძე,
ნიკოლოზ სუმბაძე	სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ევროკავშირის ენერგოთანამეგობრობაში გაერთიანების პერსპექტივები	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ირინა გოგორიშვილი,
გელა ბოხაშვილი	შენობების ფუნქციის შეცვლის პრობლემების კვლევა	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	მალხაზი წიქარიშვილი,
ნინო ჩიკვაძე	არილჰიდრაზონების ინდოლიზაციის რეაქციის (ე. ფიშერი) მექანიზმის ზოგიერთი ასპექტის ექსპერიმენტული და კვანტურ-ქიმიური დასაბუთება	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ზურაბ ფაჩულია, ჯუმბერ კერესელიძე,
გიორგი თეთრაული	მაკროეკონომიკური არასტაბილურობა და ეკონომიკის განვითარების ციკლურობა	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ნაზირა კაკულია,
თენგიზ დიასამიძე	საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის მიმართულებები	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	იასონ ამანათაშვილი,
ზიზი თორთლაძე	გვიანანტიკური ხანის იბერიის სოციალური და კულტურულ-რელიგიური ზოგიერთი ასპექტი გოსტიბეს სამაროვნის მასალების მიხედვით	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ნინო აბაკელია,
გიორგი კრავიშვილი	თურქეთში მცხოვრები ქართველების მუსიკალური ფოლკლორი	თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია	ნატალია ზუმბაძე,
მიხეილ ფიფია	კახეთის რეგიონში სექციანობის კლიმატური მახასიათებლების გამოკვლევა (ინტენსივობა, დღეთა რიცხვი, განმეორადობა)	იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ელიზბარ ელიზბარაშვილი,

მალხაზ კიკნაძე	ლითონკონსტრუქციების დიაგნოსტიკის და ნარჩენი რესურსის დადგენის მეთოდის სრულყოფა	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	მალხაზი წიქარიშვილი,
ამირანი კაცაძე	სამშენებლო-ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარების თანამედროვე მეთოდების, პროცესის ავტომატიზაციის და სამართლებრივი ასპექტების კვლევა	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	მალხაზი წიქარიშვილი,
მარინე აბლოთია	თანამედროვე სოციალური ქსელები და მათი განვითარების თავისებურებანი და პერსპექტივები საქართველოში	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	გიგლა გობეჩია,
ვაჟა ნებიერიძე	საქართველოში მოზარდი მცენარის Tribulus terrestris ცალკეული ორგანოების ქიმიური შედგენილობის შესწავლა	საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	ეთერი ქემერტელიძე,
გიორგი თაბაგარი	ახალი ტიპის წინასწარდამაბული თაღვანი წამწის თეორიული და ექსპერიმენტალური კვლევა	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ბიჭიკო სურგულაძე,
ლევან ნატროშვილი	სწავლის საფასურის დასაფარად. სადისერტაციო თემა: რუსეთის ეკონომიკური სანქციები საქართველოს მიმართ და მათი დამლევის ეკონომიკური პოლიტიკა	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	რევაზ გველესიანი,
თამრიკო სუპატაშვილი	მდინარე დურუჯის ღვარცოფული კოლოიდური გამონატანის კვლევა	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	გივი გავარდაშვილი,
ლალი ყრუაშვილი	მემანტინის ქრონიკული ზემოქმედების ეფექტების კვლევა მეხსიერებასა და ჰიპოკამპში გლუტამატერგული რეცეპტორების ექსპრესიაზე მედიალური სეპტუმის დაზანების მქონე ცხოველებში	საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრეა პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	თემური ნანეიშვილი,
სალომე გვენცაძე	ფემინისტური ტენდენციები ბერძენი ქალი მწერლების შემოქმედებაში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სოფიო შამანიდი,

ანა მანაგაძე	„რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობის საკითხები ევროპული წყაროების მიხედვით (მე-19 საუკუნე)“	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	დალი კანდელაკი,
რატი მექვაბიშვილი	კოოპერაციის წინააღმდეგობანი გარდამავალ ეკონომიკაში, საქართველოს მაგალითზე	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ინგა ბალარჯიშვილი,
ლევან ტიელიძე	საქართველოს მცინვარების გლაციო-გეომორფოლოგიური კვლევა თანამედროვე კლიმატის ცვლილების ფონზე	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	რამინ გობეჯიშვილი,
ნინო რამიშვილი	ენა, ერი და პოეტური თარგმანის ფილოსოფია	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ინესა მერაბიშვილი,
ირაკლი მანველიძე	„ელექტრონული მთავრობის“ დანერგვისა და განვითარების პერსპექტივები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	გენადი იაშვილი,
გიორგი ცომაია	ეროვნული სამხედრო-პატრიოტული ორგანიზაციები და მათი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მეორე მსოფლიო ომის დროს და ომის შემდეგ	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	თეიმურაზ პაპასქერი,
მაკა ღანიაშვილი	საერთაშორისო ფინანსური ბაზრები, ინვესტიციები და ეკონომიკური ზრდის პერსპექტივები	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ემზარი ჯგერენაია,
ნინო არუდაშვილი	სპეციალური ობიექტების სავენტილაციო სისტემების უსაფრთხოების ანალიზი ოპტიმალური პარამეტრების დასადგენად	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ნაომი ბოჭორიშვილი, ომარ ლანჩავა,

თონა დვალძე	ფაგებისა და ანტიბიოტიკების ურთიერთქმედების შესწავლა ჩირქოვან-ნთებიტი ინფექციების დროს	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ნინო გაჩეჩილაძე, მარინე გოდერძიშვილი,
ვახტანგ ჭარაია	საინვესტიციო პოლიტიკა და მენეჯმენტი საქართველოში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ლელია ლუდუშაური,
თეა მოდებაძე	ფინანსური შედეგების და მდგომარეობის ანალიზი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	იზოლდა ჭილაძე,
გიორგი ნანობაშვილი	საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის კონკურენტუნარიანობის ამალგების გზები	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	თეიმურაზ ჩხეიძე,
ანტონ ვაჭარაძე	ბათუმის საკითხის ანტანტის სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაში (1918-1920)	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ტიმოთი ბლაუველთი,
ქეთევან კრიალაშვილი	ევროკავშირის ბაზარზე საქართველოს ექსპორტის ხელშეწყობის შესაძლებლობები GSP+ის რეჟიმის პირობებში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ეკა ლეკაშვილი,
ქეთევან ჩხიკვაძე	ადგილობრივი ქვანახშირის თბოუნარიანობის ექსპერიმენტული გამოკვლევა „მდულარე შრეში“ მისი დაწვის მიზნით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ომარ კილურაძე,
მანუჩარ მესხიძე	ფენოლების შემცველობაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორების იდენტიფიკაციით, ენდემური ყურძნის ჯიშებიდან პოლიფენოლებით და ფიტოალექსინებით მდიდარი ღვინის მიღება.	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	მარიამი ხომასურიძე,
რუსუდან ჩართოლანი	ზოგიერთი სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტის ფინანსური მოდელის სტატისტიკური ანალიზი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ალექსი კირთაძე,

სალომე ყიფიანი	საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის სატრანზიტო გადაზიდვების მენეჯმენტის სრულყოფა.	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	გოდერძი ტყემელაშვილი,
გიგა გიგაშვილი	საერთაშორისო სამშვიდობო მისიების მარლთსაწინააღმდეგო ქმედებაზე პასუხისმგებლობის პრობლემური საკითხები საერთაშორისო სამართალში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ქეთევან ხუციშვილი,
მარიამ ხაბეიშვილი	ურბანიზირებული გარემო (არქიტექტურა), როგორც ხედვითი აღქმის ობიექტი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ნინო ხაბეიშვილი, ზურაბი კიკნაძე,
ილია წიკლაური	სადოქტორო პროგრამის ფარგლებში კვლევა თემისათვის „საგადასახადო დავების განხილვის ქართული მოდელის პრობლემები და მისი რეფორმირების ძირითადი ასპექტები“	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პაატა ტურავა,
ეკა კაველიძე	უნდობლობის ვოტუმის კონსტიტუციური მექანიზმი საქართველოში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	გიორგი კვერენჩხილაძე,
მარინა რაზმაძე	მრავალრგოლიანი, მოძრაობის მრავალი თავისუფლების ხარისხის მქონე ბერკეტული მექანიზმების კვლევა და ვიზუალიზაცია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	დავითი თავხელიძე, ნინო მჭედლიშვილი,
თეა ქოიავა	აჭარაში გავრცელებული ნოზოკომიური ინფექციების გამომწვევების გამოყოფა, იდენტიფიკაცია და ანტიბიოტიკორეზისტენტობის პროფილის შესწავლა	სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ლეილა ახვლედიანი, მარინე თედიაშვილი,
ნინო ლომიძე	საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში თოვლის საფარის დინამიკა კლიმატის თანამედროვე ცვლილების ფონზე	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	რამინ გობეჯიშვილი,



ნინო შაფათავა	ტურისტულ-საკურორტო მოდელის განვითარება საქართველოს მაღალმთიან ზონებში	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ბესიკ ბარკალაია,
ლაშა მარგიშვილი	სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაციის ფორმა, როგორც ეთნიკური კონფლიქტების მოგვარების მნიშვნელოვანი საშუალება	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ნანა ჭილაძე,
შოთა ძაგნიძე	საპროექტო წინადადება, სადოქტორო თემის ხელშეწყობისათვის, სახელწოდებით: „ქალაქ თბილისის დეგრადირებული სივრცეების რეაბილიტაცია“	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ოთარ ნახუცრიშვილი,

**დაფინანსებული პროექტების ჯამურმა ბიუჯეტმა შეადგინა 1 935 850. 50 ლარი.**

2013 წლის დოქტორანტურის საგრანტო კონკურსში დაფინანსებული პროექტების რაოდენობა მიმართულებების მიხედვით (იხ. ცხრილის მეორე სტრიქონი და პირველი დიაგრამა)

ფინანსების რაოდენობა და პროცენტული თანაფარდობა მიმართულებების მიხედვით (იხ. ცხრილის მესამე სტრიქონი და მეორე დიაგრამა)





## ნორჩ გამოგონებელთა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი 2013“

**დაფინანსებული პროექტების ჯამურმა ბიუჯეტმა შეადგინა 37 922 ლარი.**

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, გრანპრი გადაეცა ნიკა ალავიძესა და დავით ჩხეიძეს გამოგონებისთვის „აქტიური ფილტრი“ (ა. რაზმაძის სახელობის ქუთაისის №41 ფიზიკა-მათემატიკური საჯარო სკოლა), გამარჯვებულები შემეცნებითი ტურით საზღვარგარეთ გაემგზავრებიან. პირველი ადგილისა და 5 000 ლარის მფლობელი გახდა საბა მამუკაშვილი პროექტით „ორთოპედიული ყილეტი“ (თბილისის №137 საჯარო სკოლა); მეორე ადგილისა და 3 000 ლარს მფლობელები გახდნენ - ნინო ხიმშიაშვილი, ბესარიონ ქვაცხელი და ზაზა ირემამე პროექტით „გონიერი შუქნიშანი“ (შპს გორდას ბათუმის საერო ელიტარული საშუალო სკოლა); მესამე ადგილი და 2 000 ლარი ერგო თემურ ჩიჩუას პროექტისთვის „ტრანსფორმერი კლესიდრონი“ (თბილისის №4 საჯარო სკოლა).

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ინიციატივით, კონკურსი 2013 წელს მსგავსი შინაარსის „ინტელ“-ის საერთაშორისო კონკურსს მიუერთდა და შესაბამისად „ლეონარდო და ვინჩი 2013“-ის გამარჯვებული პროექტის ავტორი გაზაფხულზე ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრება, სადაც მონაწილეობას ანალოგიურ კონკურსში მიიღებს.

კონკურსის ფარგლებში შერჩეული საუკეთესო პროექტების გამოფენა ექსპო-ჯორჯიას საგამოფენო პავილიონში მიმდინარეობს, სადაც ინოვაციური ნამუშევრების ავტორები დამთვალიერებელს საკუთარი გამოგონების პრეზენტაციებს წარუდგენენ. გამოფენის ყველა მონაწილე დიპლომებით დაჯილდოვდა.

კონკურსი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორგანიზებით 2011 წლიდან იმართება და მისი მიზანი იყო მოსწავლეებში სწავლის დონის ამაღლება, ინოვაციებისა და ტექნიკური პროგრესის მიმართ მოზარდების

ინტერესის გაღვივება, გამომგონებლის ნიჭით დაჯილდოვებული მოზარდების გამოვლენა, შემოქმედებითი აზროვნებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების კუთხით მათთვის სტიმულის მიცემა. კონკურსში მონაწილეობენ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების 18 წლამდე მოსწავლეები.

### საერთაშორისო სასკოლო ოლიმპიადები

**დაფინანსებული პროექტების ჯამურმა ბიუჯეტმა შეადგინა 194 953. 80 ლარი.**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, საერთაშორისო ოლიმპიადებისთვის ნაკრები გუნდების შერჩევა-მომზადებასა და მონაწილეობას შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი უკვე რამდენიმე წელია უზრუნველყოფს. გუნდები ტრადიციულად, 2013 წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურის შედეგების საფუძველზე, ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში წარმატებული მოსწავლეებისაგან დაკომპლექტდა. მათ დამატებით შესარჩევი წერითი ტურები გაიარეს.

4 ნაკრების 19 მოსწავლეს სპეციალური მომზადების ერთთვიანი ინტენსიური კურსი ჩაუტარდა. ექვსსაათიანი თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები მათ ყოველდღიურ რეჟიმში თბილისსა და დაბა ბაკურიანში ჩაუტარდა. მოსწავლეები მაღალკვალიფიციურ და გამოცდილ მეცნიერთა ჯგუფებმა საერთაშორისო ოლიმპიადების კომიტეტების მიერ დადგენილი პროგრამებით მოამზადეს.

2013 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებზე საქართველომ წარადგინა დელეგაცია შემდეგ დისციპლინებში: ფიზიკა, მათემატიკა, ინფორმატიკა და ბიოლოგია. ივლისის თვეში საერთაშორისო ოლიმპიადების ნაკრები გუნდების შემადგენლობები ეტაპობრივად გაემგზავრნენ საერთაშორისო ოლიმპიადებზე. საბოლოოდ ნაკრებმა გუნდებმა მიიღეს შემდეგი ჯილდოები:

ა) ფიზიკაში საქართველოს ნაკრები წარსდგა ფიზიკის 44-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე IPhO 2013 (დანია, კოპენჰაგენი 7-15 ივლისი) გუნდის წევრთა

რაოდენობა განისაზღვრა 5 მოსწავლით;

ბ) მათემატიკაში საქართველოს ნაკრები გუნდი წარსდგა მათემატიკის 54-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე IMO 2013 (კოლუმბია, სანტა-მარტა 18-28 ივლისი), გუნდის წევრთა რაოდენობა განისაზღვრა 6 მოსწავლით;

გ) ინფორმატიკაში საქართველოს ნაკრები გუნდი წარსდგა ინფორმატიკის 25-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე IOI 2013 (ავსტრალია, ბრისბენი, 6-13 ივლისი), გუნდის წევრთა რაოდენობა განისაზღვრა 4 მოსწავლით;

დ) ბიოლოგიაში საქართველოს ნაკრები გუნდი წარსდგა ბიოლოგიის 24-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე IBO 2012 (შვეიცარია, ბერნი, 14-21 ივლისი), გუნდის წევრთა რაოდენობა განისაზღვრა 4 მოსწავლით.

საქართველოს ნაკრები გუნდების წევრობის კანდიდატები შეირჩა 2012 წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურის შედეგების საფუძველზე, რომლის შემდეგაც ივლისსა და სექტემბერში საერთაშორისო ოლიმპიადების ნაკრები გუნდების შემადგენლობები ეტაპობრივად გაემგზავრნენ საერთაშორისო ოლიმპიადებზე. საბოლოოდ ნაკრებმა გუნდებმა მიიღეს შემდეგი ჯილდოები:

**ინფორმატიკის 25-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე საქართველოს ნაკრები გუნდის შედეგები:**

*ინფორმატიკის გუნდში დაჯილდოვდა ნაკრების ოთხივე წევრი:*

ვერცხლი - გულიაშვილი გიორგი

ბრინჯაო - სხირტლაძე ჯიმშერი

სვანიძე ნიკოლოზი

მანძულაშვილი თორნიკე

**ბიოლოგიის 24-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე საქართველოს ნაკრები გუნდის შედეგები:**

*ბიოლოგიის გუნდში დაჯილდოვდა ნაკრების ერთი წევრი:*

ბრინჯაო - გვაზავა ნანული

ფიზიკის 44-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე საქართველოს ნაკრები გუნდის შედეგები:

*ფიზიკის გუნდში დაჯილდოვდა ნაკრების ხუთი წევრი:*

ბრინჯაო - მალუძე სანდრო

საპატიო სიგელები - ჩალაური სერგი

ცხადაძე გიორგი

გობეჯიშვილი მიხეილი

მათემატიკის 54-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე საქართველოს ნაკრები

გუნდის შედეგები: *მათემატიკის გუნდში დაჯილდოვდა ნაკრების ექვსი წევრი:*

ბრინჯაო - სვანაძე გიორგი

მარგვლაშვილი აკაკი

საპატიო სიგელი - მაღალთაძე გელა

მეშველიანი ზაური

მანძულაშვილი თორნიკე

მელია ამირან

## კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით

შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა 2013 წლის 4 სექტემბერს

გამოაცხადა სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი – „კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“, რომლის მიზანია მოსწავლეთა განათლების ხარისხის ამაღლება, განათლებისა და კვლევების დაახლოება; კვლევების პოპულარიზაციის გზით სკოლის მოსწავლეთა დაინტერესება მეცნიერებით; მოსწავლეთა შორის კვლევითი უნარების გამომუშავების ხელშეწყობა; პედაგოგთა მოტივაციის ამაღლება მოსწავლეთა კვლევებში ჩასართავად; მეცნიერთა, მათ შორის, ახალგაზრდა მეცნიერთა, ინტერესის გაზრდა სასკოლო პროცესში მონაწილეობისათვის; სასწავლო პროცესში ისეთი სიახლეების დანერგვა, რომლებიც ხელს შეუწყობს სკოლის მუშაობის ეფექტიანობის გაზრდას; დაეხმარება მოსწავლეს გაიაზროს ამა თუ იმ საგნის მნიშვნელობა, რაც გაზრდის მის დაინტერესებას მეცნიერებისადმი.

კონკურსში დარეგისტრირდა 53 საპროექტო განაცხადი შემდეგი სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით:

1. მათემატიკური მეცნიერებები/ მათემატიკა, მექანიკა - 3 პროექტი;
2. ფიზიკური და ქიმიური მეცნიერებები/ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - 10 პროექტი;
3. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები - 18 პროექტი;
4. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო - 22 პროექტი.

ტექნიკური ექსპერტიზის დროს გამოვლენილი ხარვეზების საფუძველზე კონკურსიდან მოიხსნა 7 საკონკურსო განაცხადი. ფონდის დამოუკიდებელი ექსპერტთა და საკონკურსო კომისიის შეფასებების საფუძველზე, ფონდის სამეცნიერო საბჭოს 2013 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით საგრანტო დაფინანსება მიიღო 16 პროექტმა.

**დაფინანსებული პროექტების ჯამურმა ბიუჯეტმა შეადგინა 95 880 ლარი.**

**სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“  
ფარგლებში დაფინანსებული პროექტები:**

გვარი, სახელი	პროექტის სახელწოდება
კეკელიძე დავითი	მძიმე მეტალების შემცველობის კვლევა ადამიანის ბიოლოგიურ მასალაში.
გია ხატისაშვილი	ქლორორგანული პესტიციდებით დაბინძურებული ნიადაგების გასუფთავება მცენარეების საშუალებით.
ბედოშვილი დავით	მენდელის გენეტიკის კანონების მოქმედების შესწავლა მოკლე სასიცოცხლო ციკლის მცენარეების გამოყენებით.
ფარქოსაძე ხათუნა	მხედველობითი ილუზიები ბავშვებსა და მოხუცებში.
ვანიძე მაია	თაფლის ხარისხის კონტროლი.
ურუშაძე თენგიზ	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიის ნიადაგური რუკის (მასშტაბში 1 : 10 000) შედგენა.
ელიზბარაშვილი ელიზბარ	პირველი ნაბიჯი ქიმიისაკენ.
ალექსანდრე სურმავა	მდ. მტკვარში ჩაღვრილი ნივთიერების გავრცელების რიცხვითი მოდელის დამუშავება და დაბინძურების გამოკვლევა.
ნიკოლაიშვილი მარინე	ეკო-ტოქსიკოლოგიური სტრესფაქტორების გავლენა მდინარე მტკვრის სანაპირო ზოლზე.

შავლიაშვილი ლალი	ალაზნის ველის ხელოვნური წყალსაცავების და მა თი მიმდებარე ტერიტორიების ეკოლოგიური პრობლემები კლიმატის თანამედროვე ცვლილების გათვალისწინებით.
მარგიანი ნიკოლოზ	ნანოტექნოლოგიის გამოყენებით მიღებული მაღალტემპერატურული ზეგამტარის ფიზიკური თვისებების კვლევა.
ბუაჩიძე ნუგზარი	ქ.თბილისის ფარგლებში მცირე მდინარეების (ვერე, დიდმულა, გლდანულა) წყლის ხარისხის შეფასება.
მურვანიძე ლალი	თბილისის ზოოლოგიური პარკის ძუძუმწოვარი ცხოველების პარაზიტოლოგიური გამოკვლევა
ბეკოშვილი ნინო	რეკრეაციული დანიშნულების ობიექტების წყლის ხარისხის კვლევა თბილისის შემოგარენში
თეიმურაზი დავითაშვილი	გარემოს ნავთობპროდუქტებით შესაძლო გაბინძურების რისკის შეფასება საქართველოს სატრანსპორტო კორიდორის გასწვრივ
ლაგვილავა ირმა	ფლუორესცენციული საღებრების სინთეზი.



## 2013 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საქმიანობა საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით

საერთაშორისო თანამშრომლობა ხორციელდება სამი ძირითადი მიმართულებით:

1. ერთობლივი საერთაშორისო საგრანტო პროგრამები;
2. ფონდის მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში;
3. საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება და ხელშეწყობა;

### ერთობლივი საერთაშორისო საგრანტო პროგრამები

საგრანტო პროგრამები ხორციელდება ფონდის და მისი უცხოელი პარტნიორი ორგანიზაციების თანადაფინანსებით.

### ერთობლივი საერთაშორისო საგრანტო პროგრამებია:

1. სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და უკრაინაში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრის (STCU) “მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამა”. პროგრამის ფარგლებში ყოველწლიურად ცხადდება ერთობლივი საგრანტო კონკურსი.

პროგრამის თემატური პრიორიტეტებია:

- ა) ბიოტექნოლოგიები და მეცნიერებები სიცოცხლის შესახებ;
- ბ) ნანოტექნოლოგიები და ახალი მასალები;
- გ) საინფორმაციო ტექნოლოგიები.

2013 წელს კონკურსის პირველ ეტაპზე ფონდში შემოვიდა 114 საპროექტო განაცხადი. პროექტების ტექნიკური შემოწმების შედეგად კონკურსიდან მოიხსნა 9 ხარვეზიანი განაცხადი. ქართველ დამოუკიდებელ ექსპერტთა შეფასებების საფუძველზე, შეირჩა 28 საპროექტო წინადადება, რომელთა რანჟირებული სია გადაეგზავნა მტკუ-ს. სრული სახით მომზადებული პროექტების შეფასება (მეორე

ეტაპი) განხორციელდა მტცუ-ს ექსპერტების მიერ, რისი გათვალისწინებითაც მტცუ-ს მმართველთა საბჭომ ქ. კიევში 2013 წლის 12-13 დეკემბერს გამართულ 37-ე სხდომაზე დასაფინანსებლად მიიღო 9 პროექტი. გამარჯვებული პროექტები ფონდის სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცდება 2014 წელს. პროექტებზე გამოყოფილი საერთო ბიუჯეტი შეადგენს დაახლოებით 63000 აშშ დოლარს, საიდანაც 50 %-ს დაფარავს ფონდი. პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს.

2. სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF-Global), „მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამეწარმეო პროგრამა (STEP) – “იდეიდან ბაზრისკენ“. პროგრამის ფარგლებში 2013 წელს გამოცხადდა ერთობლივი საგრანტო კონკურსი.

პროგრამის პრიორიტეტებია:

- ა) საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;
- ბ) ენერგეტიკა;
- გ) ბიოტექნოლოგიები;
- დ) სოფლის მეურნეობა;
- ე) ახალი მასალები;
- ვ) ჯანდაცვა.

კონკურსზე წარმოდგენილი იქნა ტექნოლოგიური ხასიათის, კომერციულ, სამოქალაქო (არასამხედრო) ამოცანებზე ორიენტირებული 30 საპროექტო წინადადება. ტექნიკური ექსპერტიზის შედეგად აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის მიერ მოხსნილ იქნა 10 პროექტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ - 1 პროექტი. კონკურსის პირველ ეტაპზე, აშშ-ს და ქართველ დამოუკიდებელ ექსპერტთა შეფასების შესაბამისად შემდგომი განხილვისთვის 19 პროექტიდან შერჩეული იქნა 10 საპროექტო წინადადება. აღნიშნული საპროექტო წინადადებების განხილვა მოხდება ე.წ. საინოვაციო ფორუმზე აშშ-ს და ქართველ ექსპერტთა მიერ შემდგარი კომისიის წინაშე. კომისიის გადაწყვეტილებით ერთობლივი დაფინანსებისთვის შერჩეულ პროექტებს დასაფინანსებლად დაამტკიცებს ფონდის სამეცნიერო საბჭო 2014 წელს.

ფონდიდან მოთხოვნილი მაქსიმალური საგრანტო დაფინანსება ერთი პროექტისათვის არის 30 000 ლარი, ხოლო CRDF Global-იდან მოთხოვნილი მაქსიმალური თანხა - 4200 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში. პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს.

3. აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF - Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსტგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის“ ფარგლებში გამოაცხადდა „პათოგენების კვლევისა და სწავლების ხელშემწყობი ცენტრის შექმნა“ 2013 წლის კონკურსი

კონკურსის მიზანი გახლდათ მაღალი დონის, ინოვაციური ხასიათის ბიოლოგიურ კვლევების ხელშწყობა. აღნიშნული კვლევები უნდა წარმოადგენდეს აშშ-ს თავდაცვისა და საფრთხეების შემცირების სააგენტოსა (DTRA) და საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების საერთო ინტერესის სფეროს. კვლევა უნდა განხორციელდეს საქართველოს უნივერსიტეტში და იგი უნდა ჰარმონიზებული იყოს განათლების პროცესთან.

კონკურსის შედეგად დასაფინანსებლად შეირჩევა, არაუმეტეს 2 წლის ხანგრძლივობის, ერთი პროექტი, რომლის მთლიანი საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 460 000 აშშ დოლარს. აქედან CRDF –Global-დან მოთხოვნილი თანხა უნდა იყოს 400 000 აშშ დოლარის ფარგლებში, ხოლო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება 60 000 აშშ დოლარის ფარგლებში.

კონკურსზე შემოდული საპროექტო წინადადებების შეფასება მოხდება შშ-ს და საქართველოს დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ. შედეგები ცნობილი იქნება 2014 წელს.

4. აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF - Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის მიერ, პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის“, ფარგლებში გამოცხადდა „ახალგაზრდა ქართველ მეცნიერთა მხარდაჭერის“ 2013 წლის კონკურსი. კონკურსის მიზანი გახლდათ აშშ-ს თავდაცვისა და

საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA) ინტერესის სფეროში შემავალ და ქართული სამეცნიერო საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან დისციპლინებში მაღალი ხარისხის, ინოვაციური ბიოლოგიური კვლევის ხელშეწყობა და მდგრადი ქართულ-ამერიკული სამეცნიერო თანამშრომლობის დამყარება. თითოეული პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 18 თვეს, ხოლო საგრანტო დაფინანსება - 30 000 აშშ დოლარს. აღნიშნული თანხის არაუმეტეს 40%-ს გასცემს ფონდი. კონკურსზე შემოვიდა 9 საპროექტო წინადადება, რომელთა შეფასება მოხდება შშ-ს და საქართველოს დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ. შედეგები ცნობილი იქნება 2014 წლის გაზაფხულზე.

5. სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის (CNRS) "საერთაშორისო გაცვლითი პროგრამა". პროგრამის ფარგლებში ორ წელიწადში ერთხელ ცხადდება ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსი.

პროგრამის თემატური პრიორიტეტებია:

ა) მათემატიკა

ბ) ფიზიკა

გ) სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები

პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ 2013 წლის კონკურსში წარმოდგენილ იქნა 9 საგრანტო პროექტი. ადგილობრივი დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ შეფასებული 80 და მეტი ქულის მქონე საგრანტო პროექტების რანჟირებული სია გადაეზავნა საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ცენტრს (CNRS) გამარჯვებული სამი პროექტის შერჩევისათვის. დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცება მოხდება ფონდის სამეცნიერო საბჭოს მიერ 2014 წელს.

ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 10 000 ევროს ექვივალენტს ლარებში. პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს.

6. სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) "საერთაშორისო გაცვლითი პროგრამა". პროგრამის ფარგლებში ორ წელიწადში ერთხელ ცხადდება ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსი.

პროგრამა მოიცავს ყველა სამეცნიერო მიმართულებას.

სამეცნიერო საგრანტო კონკურსზე წარმოდგენილი საპროექტო განაცხადები შეაფასდა საქართველოსა და იტალიაში, დარგის ექსპერტთაგან დაკომპლექტებული კომისიების მიერ. შეფასებების შეჯერების შედეგად, მხარეთა მიერ დასაფინანსებლად რეკომენდებული იქნა 5 საპროექტო წინადადება, რომელთა განხილვა და დასაფინანსებლად დამტკიცება მოხდა ფონდის სამეცნიერო საბჭოს მიერ.

ფონდის მხრიდან თითოეული გამარჯვებული ერთობლივი კვლევითი პროექტის მონაწილე ქართული ჯგუფისათვის, ყოველწლიურად, გამოიყოფა არა უმეტეს 6000 (ექვსი ათასი) ევრო (შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში). პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს.

7. სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის - Forschungszentrum Jülich (JÜLICH) ერთობლივი „კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამა“. 2013 წელს პროგრამის ფარგლებში გამოცხადდა მეორე საგრანტო კონკურსი.

პროგრამის თემატური პრიორიტეტებია:

- ა) მათემატიკური მეცნიერებები;
- ბ) საინფორმაციო ტექნოლოგიები;
- გ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
- დ) საინჟინრო მეცნიერებები
- ე) სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები.

2013 წლის ერთობლივ კონკურსში წარმოდგენილი იყო ქართველი დოქტორანტებისა და მაგისტრანტების 3 საპროექტო წინადადება. მათგან დაფინანსდა სამივე პროექტი. იულიხის კვლევით ცენტრში

დოქტორანტების გრანტით დაფინანსებული სტაჟირების ხანგრძლივობა შეადგენს მაქსიმუმ 3 წელს, ხოლო მაგისტრანტებისთვის - სასწავლო გეგმასთან შესაბამისობით - 6 თვეს ან ერთ წელს.

### ფონდის მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში

2013 წლის განმავლობაში ფონდი ჩართული იყო ევროკავშირის კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების მე-7 ჩარჩო პროგრამის (FP7) ფარგლებში მიმდინარე 3 პროექტში.

1. **“ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელი მეცნიერების და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში” (IncoNet CA/SC).** 2013 წლისთვის ფონდმა გრანტის სახით მიიღო 33364 ევრო.

პროექტის მიზანია სამეცნიერო თანამშრომლობის გაძლიერება ევროკავშირის, ცენტრალური აზიის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის. ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: 1) სამეცნიერო თანამშრომლობისათვის პრიორიტეტული სფეროების დადგენა; 2) საინოვაციო საქმიანობის მხრდაჭერა და მცირე/საშუალო სიმძლავრის საწარმოების მეცნიერებასთან კოოპერირების წახალისება; პროექტში მონაწილეობს 9 ქვეყნის (მათ შორის ევროკავშირის 5 წევრი სახელმწიფოს) 31 ორგანიზაცია.

პროექტის ფარგლებში 13-14 ივნისს თბილისში ჩატარდა 2-დღიანი საერთაშორისო სემინარი „თანმიმდევრული საინოვაციო პოლიტიკის შემუშავება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში და მოლდოვაში და მეცნიერებისა და წარმოების თანამშრომლობის ხელშეწყობა“, რომლის ორგანიზებაშიც ძირითად ორგანიზატორთან - კავკასიის ბიზნესის სკოლასთან ერთად ჩართული იყო ფონდი. პროექტი დასრულდა 2013 წლის 30 ივნისს.

2. **“გაერთიანებული ევროპისთვის ზღვის კვლევების სტრატეგიის და პროგრამების შემუშავებისკენ” (SEAS-ERA.NET).** 2013 წლისთვის ფონდმა გრანტის სახით მიიღო 13275.5 ევრო.

პროექტის მიზანია ევროპის ზღვების კვლევასთან დაკავშირებული სამეცნიერო პროგრამების კოორდინაციისათვის საფუძვლის მომზადება. ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

- 1) ერთობლივი კვლევითი პროგრამების/სტრატეგიის შექმნისა და ამოქმედების ხელშეწყობა;
- 2) ევროპის ზღვების კვლევის ინფრასტრუქტურის და ადამიანური რესურსების ეფექტიანი გამოყენება;

პროექტში მონაწილეობს 19 ქვეყნის (მათ შორის ევროკავშირის 5 წევრი სახელმწიფოს) 22 ორგანიზაცია.

**აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელი მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში (IncoNet EaP) 2013 წლისთვის ფონდმა გრანტის სახით მიიღო 41156 ევრო.**

პროექტის მიზანია აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების (Eastern Partnership Countries), მათ შორის საქართველოს, მეცნიერებისა და ტექნოლოგიური განვითარების პოლიტიკის ჰარმონიზაცია ამ სფეროში ევროკავშირში არსებულ პოლიტიკასთან; სამეცნიერო კვლევებში ინოვაციური კომპონენტის გაძლიერება; ე.წ. სასაზოგადოებრივი გამოწვევების (Societal Challenges) დაძლევაში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უკეთესი გამოყენება. პროექტში მონაწილეობს 17 ქვეყნის (მათ შორის ევროკავშირის 9 წევრი სახელმწიფოს) 19 ორგანიზაცია.

### **1. საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება და ხელშეწყობა**

#### **საინფორმაციო-საკონსულტაციო დახმარება**

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი უწევს საინფორმაციო-საკონსულტაციო დახმარებას ქართველ მეცნიერებს საერთაშორისო პროგრამებში მათ შესაძლო მონაწილეობასთან დაკავშირებით. ამგვარმა საქმიანობამ 2013 წელს მოიცვა ისეთი პროგრამები, როგორცაა:

- 1) ნატოს პროგრამა "მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის";

2) ევროკავშირის კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების მე-7 ჩარჩო პროგრამა;

3) მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში გლობალურ საკითხებზე თანამშრომლობის განვითარების პროგრამა (SATREPS).

### ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან

ნატო: ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის მომზადდა ანგარიში, რომელიც ეხება NATO-ს წლიურ ეროვნულ პროგრამაში (ANP) საქართველოს მიერ აღებულ ვალდებულებებს თემაზე: "თანამშრომლობა სამეცნიერო საკითხებზე".

ევროკავშირი: ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის მომზადდა ანგარიში, ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის (ENPAP) ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

საანგარიშო წლის განმავლობაში ფონდმა მასპინძლობა გაუწია სხვადასხვა საერთაშორისო დელეგაციასა და ექსპერტთა ჯგუფს. შეხვედრებზე განხილული იყო არსებული თანამშრომლობის გაფართოვების და ახალი ინიციატივების რეალიზაციის გზები. დაისახა ერთობლივი საქმიანობის შესაძლებლობები.


### საერთაშორისო/უცხოურ ფონდებიდან და პროგრამებიდან ქართველ მეცნიერთა თანადაფინანსების მაჩვენებელი 2006-2013 წლებში:

**NATO SPS** – დაახლოებით **150** პროექტი საერთო ბიუჯეტით **10.5** მილიონი დოლარი;  
**CRDF** – დაახლოებით **170** პროექტი საერთო ბიუჯეტით **7.5** მილიონი დოლარი;  
**ISTC** – დაახლოებით **150** პროექტი საერთო ბიუჯეტით **29.5** მილიონი დოლარი;  
**STCU** – დაახლოებით **100** პროექტი საერთო ბიუჯეტით **10.0** მილიონი დოლარი;  
**EU FP7** – დაახლოებით **60** პროექტი საერთო ბიუჯეტით **4** მილიონი დოლარი (ქართველ მონაწილეთათვის);



**INTAS (2007 წლამდე) – დაახლოებით 220 პროექტი საერთო ბიუჯეტით 6.5 მილიონი დოლარი;**


**Forschungszentrum Jülich - 8 პროექტი საერთო ბიუჯეტით დაახლოებით 250 000 დოლარი .**



## ფინანსური ანგარიში


სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ბიუჯეტმა 2013 წელს შეადგინა 21 178 000 ლარი, აქედან ფონდის მთელი ბიუჯეტის 94.69 % სამეცნიერო პროგრამებზე დაიხარჯა, დანარჩენი 5,31 % ფონდის აპარატზე.

სურათი 1. ფონდის ბიუჯეტი 2013 წელს.



ფონდის ბიუჯეტი - 21 178 800 ლარი

სურათი 2. ფონდის პროგრამები და გრანტები - 2013 წლის პრიორიტეტების ბიუჯეტი - 6 125 100 ლარი



## სახელმწიფო სამეცნიერო გრანტებით დაფინანსებული

### პროექტების მონიტორინგი

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მონიტორინგის დეპარტამენტი 2013 წლის მანძილზე ახორციელებდა შემდეგი საგრანტო პროექტების ადმინისტრირებას: ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი, გამოყენებითი კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი, სახელმწიფო გრანტი ერთობლივი კვლევებისათვის უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით, საკონფერენციო გრანტების კონკურსი, ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლა, მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი, ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო საგრანტო კონკურსი, უცხოეთში ახალგაზრდა მეცნიერთა სტაჟირების საგრანტო კონკურსი, ერთობლივი საერთაშორისო პროგრამები და ა. შ.

სამეცნიერო ფონდი ახორციელებდა ზემოაღნიშნული დაფინანსებული პროექტების განხილვას, პერიოდული ფინანსური და პროგრამული ანგარიშების შეფასებასა და შესაბამისი მონიტორინგის აქტების მომზადებას. ფონდის თანამშრომლები ესწრებოდნენ საგრანტო პროექტების ფარგლებში გამართულ კონფერენციებს, სემინარებს, პრეზენტაციებსა და სადემონსტრაციო დღეებს. მიმდინარეობდა პროექტებში განხორციელებული სამეცნიერო მუშაობის ამსახველი სტატისტიკური მასალის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი.

2013 წელს გრძელდებოდა ფონდის მიერ დაფინანსებული შემდეგი პროექტების ადმინისტრირება:

## 2013 წელს მიმდინარე პროექტები

საგრანტო კონკურსის სახელწოდება	პროექტების რაოდენობა
სახელმწიფო საგრანტო კონკურსი ფუნდამენტური კვლევებისათვის	<b>129</b>
სახელმწიფო საგრანტო კონკურსი გამოყენებითი კვლევებისათვის	<b>62</b>
სახელმწიფო საგრანტო კონკურსი უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის	<b>33</b>
სახელმწიფო საგრანტო კონკურსი „ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი“	<b>1</b>
სახელმწიფო საგრანტო კონკურსი ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლისთვის	<b>6</b>
სახელმწიფო საგრანტო კონკურსი ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის	<b>96</b>
სახელმწიფო საგრანტო კონკურსი ქართული ეროვნული სამოსის კვლევისთვის	<b>1</b>
სახელმწიფო საგრანტო კონკურსი კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობისთვის	<b>28</b>
სახელმწიფო საგრანტო კონკურსი საკონფერენციო გრანტებისთვის	<b>31</b>


სახელმწიფო გრანტი საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის	<b>11</b>
სახელმწიფო საგრანტო კონკურსი ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტებისთვის	<b>144</b>
სახელმწიფო საგრანტო კონკურსი მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტებისთვის	<b>212</b>
სახელმწიფო საგრანტო კონკურსი მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივებისთვის	<b>12</b>
სახელმწიფო საგრანტო კონკურსი სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის ან/და სამეცნიერო კვლევებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამების შესაძენად, უსასყიდლოდ გადმოცემული სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის უცხოეთიდან ტრანსპორტირებისა და არსებული სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის ფუნქციური გაუმჯობესების ან/და სათადარიგო ნაწილების შესყიდვისათვის	<b>20</b>
<b>ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსები:</b>	
აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF – Global), სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) „მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამეწარმეო პროგრამის (STEP) – იდეიდან ბაზრისკენ“ ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსი	<b>7</b>
სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსი	<b>5</b>

საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრისა და სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსი	<b>3</b>
ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსი შავი ზღვის რეგიონში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში კავშირების დამყარებისთვის (BS-ERA.NET);	<b>4</b>
შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსი	<b>5</b>
საერთაშორისო კვლევითი ჯგუფის - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში - შემადგენლობაში ქართველ მეცნიერთა ჩართვისთვის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსი	<b>1</b>
2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა	<b>135</b>
სახელმწიფო საგრანტო კონკურსი დოქტორანტურის თანახელმძღვანელობა	<b>3</b>

2013 წელს სამეცნიერო ფონდის მონიტორინგის დეპარტამენტმა ადმინისტრირება გაუწია სულ 1009 სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო პროექტს, აქედან 2013 წელს დასრულდა 458 პროექტი.

### **გრაფიკი 1**


*2013 წლის დეკემბრისთვის მიმდინარე - 551 და დასრულებული - 458 სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო პროექტების რაოდენობრივი გადანაწილება პროცენტულად.*




2013 წელს ფონდის თანამშრომლები სისტემატურად ესწრებოდნენ საგრანტო პროექტების ფარგლებში გამართულ სამეცნიერო კონფერენციებს, სემინარებს, პრეზენტაციებსა და სადემონსტრაციო დღეებს.



**2006-2013 წლებში დარეგისტრირებულ საპროექტო განაცხადთა დინამიკა**



**2006-2013 წლებში გამარჯვებულ პროექტთა დინამიკა**



## მოვლენები და ფაქტები

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „განწყობის ფსიქოლოგია – იმპლემენტაცია და განვითარების პერსპექტივა“

2013 წლის 6 მაისს ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „განწყობის ფსიქოლოგია – იმპლემენტაცია და განვითარების პერსპექტივა“ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, გიორგი მარგველაშვილმა მიიღო. კონფერენცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკონფერენციო გრანტების კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა.



კონფერენცია დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის 70 წლისთავს მიეძღვნა და მისი ორგანიზატორი დიმიტრი უზნაძის სახელობის საქართველოს ფსიქოლოგთა ასოციაცია იყო. კონფერენციის მიზანი იყო ქართული ფსიქოლოგიური სკოლის აღორძინებისა და განვითარების ხელშეწყობა.

მეცნიერული ფსიქოლოგიის ძლიერი კერის არსებობა ყველა სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია. საქართველოში ფსიქოლოგიის

პირველი სახელმძღვანელო „ცდისეული ფსიქოლოგია“ XIX საუკუნეში გამოქვეყნდა. XX საუკუნეში, საქართველოში შემუშავდა მსოფლიოში აღიარებული განწყობის ფსიქოლოგიური თეორია, რომლის ავტორია დიმიტრი უზნაძე. მსოფლიო მეცნიერებისთვის განწყობის თეორიის დიდი მნიშვნელობა ოფიციალურად იქნა აღიარებული.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ფსიქოლოგიის მნიშვნელობა განუზომელია განათლების სისტემის, საზოგადოებრივი თუ ოჯახური ცხოვრების, აღზრდის, ადამიანთა ურთიერთობის, მართვის, ფსიქიკური ჯანდაცვის, კონფლიქტების რეგულაციისა და ქვეყნისათვის სხვა აქტუალური სფეროების ეფექტურად ფუნქციონირებისათვის. საქართველოში მიმდინარე გარდაქმნების კონტექსტში, საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ქართული ფსიქოლოგიური წინსვლის ხელშეწყობა სახელმწიფო ინტერესს წარმოადგენს.

### **დმანისის არქეოლოგიურ მუზეუმში უცხოელი ქართველოლოგიით დაინტერესებული უცხოელებისთვის საზაფხულო სკოლა მიმდინარეობს**

2013 წლის 5 სექტემბერს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი სულხან სისაური და საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორი დავით ლორთქიფანიძე დმანისის საზაფხულო სკოლის მუშაობას გაეცნენ.

14 უცხოელი აშშ-დან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, შვედეთიდან, პოლონეთიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, ლატვიაიდან, ირანიდან, ბელორუსიიდან, უკრაინიდან, მოლოვეთიდან და რუმინეთიდან დმანისის არქეოლოგიურ მუზეუმში საქართველოს ისტორიას და არქეოლოგიას ეცნობიან. ყველა მათგანი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი ან მეცნიერია.

სპეციალური ათდღიანი სასწავლო პროგრამა საქართველოს ისტორიაში, ხელოვნებათმცოდნეობაში, არქეოლოგიაში, ეთნოლოგიასა და ნუმისმატიკაში თეორიული სახის სალექციო კურსებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებს ითვალისწინებს. სამეცნიერო-კვლევითი ბაზაზე მიმდინარე სწავლებას ქართველი მეცნიერები უძღვებიან. სკოლის მსმენელებისთვის

დაგეგმილია ვორკშოპების ორგანიზება და თემატური ექსკურსიების მოწყობა.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი მიმდინარე წელს ექვს საზაფხულო სკოლას აფინანსებს. ამგვარი სკოლების მიზანია ქართველოლოგიის სამეცნიერო მიმართულებაში უცხოელი მკვლევრების მოზიდვა, და ზოგადად, ქართველოლოგიის მსოფლიოს სამეცნიერო ცენტრებში პოპულარიზაცია. ამასთან, პროექტი ხელს შეუწყობს უცხოელთათვის ქართველოლოგიური მეცნიერებების და მათი კვლევის მეთოდოლოგიის გაცნობას, თეორიული და პრაქტიკული სამუშაო უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და ქართველ კოლეგებთან სასწავლო და შემოქმედებითი ურთიერთობის ხელშეწყობა.

